

**საბანკო მომსახურების პირობების დაემატოს 3.13.2.7 ქვეპუნქტი, ხოლო არსებული 3.13.2.7 და 3.13.2.8 ქვეპუნქტებს მიენიჭოს ახალი ნუმერაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3.13.2.7 საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიოს მაქსიმალური მოცულობა - საკრედიტო შენატანის 5% (ხუთი პროცენტი); გადახდის პერიოდულობა: კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობის შესაბამისი;

3.13.2.8 პირგასამტეხლო კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარგებლის ვადამდე დაფარვისათვის: მაქსიმუმ 2%;

3.13.2.9 პირგასამტეხლო ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის: ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (ექსპრეს სესხის შემთხვევაში მინიმუმ 0.2 ლარი) და პირველი ვადაგადაცილებული დღისათვის, ერთჯერადად მაქსიმუმ 10 ლარი (თუ კრედიტი გაცემულია სხვა ვალუტაში - 5 ერთეული შესაბამის ვალუტაში).

**საბანკო მომსახურების პირობების დაემატოს 3.13.7 და 3.13.8 ქვეპუნქტები, ხოლო არსებული 3.13.7 და 3.13.8 ქვეპუნქტებს მიენიჭოს ახალი ნუმერაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3.13.7 დაზღვევის მართვის საკომისიო დაერიცხება არაუმეტეს ბანკის მიერ განსაზღვრული თანხის მოცულობას, რომელიც მოცემულია ბანკის ვებ მისამართზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge) და გადაიხდება ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობით. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ბანკი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კლიენტის სიცოცხლის ან/და უბედური შემთხვევის დაზღვევა. ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ ბანკი. კლიენტის მიერ დასაცავი დაზღვევის პირობები მოცემულია ბანკის ვებ მისამართზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge). ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ: ა) აღნიშნული საკომისიო გადაიხდება ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდზე, მიუხედავად იმისა კლიენტი ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდზე იქნება თუ არა დაზღვეული; ბ) იმ შემთხვევაში თუ კლიენტს წარმოადგენს ერთზე მეტი პირი - დაზღვეული იქნება თუ არა ყველა ეს პირი; გ) ბანკი არ არის ვალდებული აცნობოს, ხოლო კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია იმის თაობაზე დაზღვეულია თუ არა კლიენტი ხელშეკრულების მოქმედების შესაბამის პერიოდზე; დ) დაზღვევის არ არსებობა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებისგან.

3.13.8 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე (თუ მხარეები შეთანხმდებიან საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიოს ოდენობაზე) ან/ შემდგომში კლიენტის განცხადების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ბანკი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კლიენტის შემოსავლების დაზღვევა. ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ ბანკი. კლიენტის მიერ დასაცავი დაზღვევის პირობები მოცემულია ბანკის ვებ მისამართზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge). საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის საკომისიო გადაიხდება ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ: ა) აღნიშნული საკომისიო გადაიხდება ხელშეკრულების

მოქმედების მთელ პერიოდზე, მიუხედავად იმისა **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების მთელ პერიოდზე იქნება თუ არა დაზღვეული; ბ) იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** წარმოადგენს ერთზე მეტი **პირი** - დაზღვეული იქნება ყველა ეს **პირი**; გ) **ბანკი** არ არის ვალდებული აცნობოს, ხოლო **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია იმის თაობაზე დაზღვეულია თუ არა **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების შესაბამის პერიოდზე; დ) დაზღვევის არ არსებობა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებისგან. ე) **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დაზღვევა საკუთარი შეხედულებისამებრ და აღნიშნული არ საჭიროებს **კლიენტისათვის** დამატებით შეტყობინებას. ვ) იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** რამდენიმე პირია, ნებისმიერი მათგანი უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** განაცხადით საკრედიტო შენატანის დაზღვევის ან საკრედიტო შენატანის დაზღვევის შეწყვეტი დაზღვევის შეწყვეტა გავრცელდება ყველა **კლიენტზე**. ზ) საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის **საკომისიო** დაერიცხება **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პერიოდულობით გადასახდელი **კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლისა** და დაზღვევის მართვის **საკომისიოს** ოდენობას (საკრედიტო შენატანი), ამასთან **კრედიტის თანხის** წინსწრებით დაფარვა არ გამოიწვევს საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის **საკომისიოს** ოდენობის ცვლილებას.

**3.13.9 კრედიტით სარგებლობის დამატებითი პირობები:**

3.13.9.1. იმ შემთხვევაში, თუ **კრედიტის თანხის** მოცულობა დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და შესაბამისი **კრედიტის თანხის** ან მისი ნაწილის გაცემა ხდება სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო **კრედიტის თანხის** მოცულობის გადაჭარბება არ ჩაითვლება **ხელშეკრულების** ან/და **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით შეთანხმებული პირობების დარღვევად და **კლიენტი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

3.13.9.2. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად განაცხადოს უარი **კრედიტის** თანხების ან მის ნაწილის გაცემაზე, თუკი **კლიენტის** ქონებაზე ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე (მათ შორის, **ანგარიშ(ებ)ზე**) აღრიცხულია (რეგისტრირებულია) რაიმე სახის შეზღუდვა, მათ შორის საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა.

**3.13.10 ზოგადი დებულებები**

3.13.10.1. ამ **პირობების** სხვა მუხლების/პუნქტების დებულებები შეეხება **3.13 პუნქტის** პირობებს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამგვარი მუხლები გულისხმობს **მე-4 მუხლს** (**კლიენტის** განცხადებები), **მე-6 მუხლს** (გადასახადები), **მე-7 მუხლს** (მალაში შესვლის თარიღი და ვადა), **მე-8 მუხლს** (მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა), **მე-9 მუხლს** (ინფორმაციის გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა) და **მე-10 მუხლს** (ზოგადი დებულებები).